ტრავმის ენობრივი რეპრეზენტაცია ივა ფეზუაშვილის რომანში *მასკარაფონე*

ქეთი ევსია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტი: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთი ევსია

18.01.2026

აბსტრაქტი:

მოცემულ ნაშრომში განხილულია ტრავმული ნარატივის სპეციფიკა ივა ფეზუაშვილის რომანში მასკარაფონე, ტრავმის თეორიისა და თანამედროვე ნარატოლოგიის თეორიული ჩარჩოების გამოყენებით. ტექსტის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, თუ როგორ ვლინდება ინდივიდუალური, თაობათაშორისი და სოციო-კულტურული ტრავმა ნარატიულ სტრუქტურაში, დროით ორგანიზაციასა და მეტყველების ფუნქციონირებაში.

ნაშრომში განხილული სამეცნიერო ლიტერატურისა და ტექსტის ანალიზის საშუალებით გამოვლენილია ფრაგმენტული / წყვეტილი ნარატივისთვის დამახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის რღვევა, ფოკალიზაციის არამდგრადობა და მეტყველების ფრაგმენტულობა. ნაჩვენებია, რომ დროის, სიუჟეტისა და მეტყველების არასტაბილურობა ასახავს მთხრობელის მიერ ტრავმული გამოცდილების ინტეგრირების შეუძლებლობას და განსაზღვრავს ტექსტის საერთო ნარატიულ ლოგიკას.

კვლევა მიზნად ისახავს აჩვენოს, თუ როგორ მოქმედებს ტრავმული გამოცდილება ნარატიულ ფორმაზე და როგორ გარდაიქმნება ენა არა მხოლოდ გამოცდილების გადმოცემის საშუალებად, არამედ ტრავმის სიმპტომურ სივრცედ. ამისათვის გამოყენებულია ტრავმის თეორია, ფრაგმენტული ნარატივის კონცეფცია და ნარატოლოგიური ანალიზის მეთოდები, ანალიზისას გათვალისწინებულია პერსონაჟთა ბიოგრაფიული გამოცდილება, ოჯახური ურთიერთობები და სოციალური კონტექსტი.

საკვანძო სიტყვები: წყვეტილი / ფრაგმენტული ნარატივი, მეტყველების კრიზისი, ტრავმა, *მასკარაფონე.*

Abstract:

This thesis examines the specific features of traumatic narrative in Iva Pezuashvili's novel *Mascarapone*, drawing on theoretical frameworks from trauma studies and contemporary narratology. Based on a close textual analysis, the study demonstrates how individual, transgenerational, and socio-cultural trauma are articulated through narrative structure, temporal organization, and the functioning of speech.

Through engagement with relevant scholarly literature and detailed textual analysis, the thesis identifies key characteristics of broken narratives, including the disruption of chronological sequence, instability of focalization, and the fragmentation of speech. It is argued that the disintegration of time, plot, and language reflects the narrator's inability to integrate traumatic experience and fundamentally shapes the novel's narrative logic.

The study aims to show how traumatic experience determines narrative form and how language is transformed from a medium of representation into a symptomatic space in which trauma repeatedly manifests itself. To this end, the analysis employs trauma theory, the concept of broken narrative, and narratological methods, while taking into account the characters' biographical experiences, family relations, and the broader social context.

Keywords: Broken Narrative, linguistic crisis, trauma, Mascarapone.